თბილისის საკრებულოს ანგარიში 2022–2023 ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“

ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად ანტიკორუფციული საქმიანობა რჩება, ისევე როგორც კარგი მმართველობა, ევროპული თვითმმართველობა, სატრანსპორტო რეფორმა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და სოციალური პრობლემები.

ანტიკორუფციული კომისიის, როგორც კორუფციის რისკების პრევენციის მექანიზმის, შექმნა თბილისის საკრებულოში კვლავ ჩვენი გუნდის მთავარ მოთხოვნად რჩება, თუმცა, სამწუხაროდ, „ოცნების“ უმრავლესობას ამ გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკური ნება არ გააჩნია!

ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ მიერ გამოაშკარავებული ერთ–ერთი ხმაურიანი საქმე თბილისის მერიის მიერ რუსული სანქცირებული კომპანია „კამაზისგან“ ხუთ მილიონამდე ლარის სპეცტექნიკის შეძენას ეხებოდა. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი ფრაქციის მოთხოვნისა, მერიამ მაინც არ გააუქმა ხელშეკრულება „კამაზთან“, რომელიც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ არის სანქცირებული რუსული ტერორისტული არმიის სამხედრო კომპონენტებით მომარაგებისთვის.

ფრაქციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური კორუფციის ნიშნების გამო პროკურატურაში შეტანილი განცხადება გახმაურებული სამშენებლო ნებართვების დაჩქარებული წესით დამტკიცების გამო იმ კომპანიებისთვის, რომელთა უკან „ოცნების“ შემომწირველები, მათთან დაახლოებული პირები და ოჯახის წევრებიც კი დგანან.

ფრაქციამ პროკურატურას გამოძიების მოთხოვნით ასევე მიმართა სახელმწიფო აუდიტის დასკვნის საფუძველზე, რაც პირდაპირ მიუთითებს „თბილსერვის ჯგუფში“ არსებულ კორუფციულ დარღვევებზე, სასურველ კომპანიებზე მრავალმილიონიანი ტენდერების მორგებასა და სხვა ეკონომიკურ დანაშაულებზე.

მნიშვნელოვანი იყო სატრანსპორტო სფეროს ეფექტური რეგულირებისთვის ფრაქციის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები. იმედია, თბილისის მერია გაითვალისწინებს ფრაქციის ინიციატივას და დიდი გაბარიტის ავტომობილებს თბილისის ყველაზე გადატვირთულ ზონებში პიკურ საათებში შეეზღუდება მოძრაობა, რაც ოდნავ მაინც განტვირთავს დედაქალაქს გაუსაძლისი საცობებისგან.

გვაქვს მოლოდინი, რომ მერია გაითვალისწინებს ჩვენი ფრაქციის კიდევ ერთ ინიციატივას და გასაჩივრების გამარტივებულ ფუნქციას მობილური აპლიკაციის მეშვეობით გახდის ხელმისაწვდომს, რადგან ძალიან ხშირია ავტომობილების საჯარიმო სადგომებზე უკანონო გადაყვანის შემთხვევები, რაც მოქალაქეთა სამართლიან პროტესტს იწვევს.

ძირითადი აქტივობები

- ინიციატივები უკეთესი თბილისისთვის
- პოლიტიკური გამოსვლები საკრებულოს სხდომებზე
- ბრიფინგები და მედიასთან კომუნიკაცია
- მოსახლეობასთან შეხვედრები

ანტიკორუფციული ინიციატივები

- ანტიკორუფციული კომისია
- „კამაზის“ და „მეტროვაგონმაშის“ ტენდერები
- სარჩელი პროკურატურაში
- *პოლიტიკური კორუფცია*
- *სახელმწიფო აუდიტის დასკვნა*

კარგი მმართველობა და ევროინტეგრაცია

- სახალხო ბიუჯეტირება
- *50.000 ლარიანი ნაგვის ურნები*
- *ირანული თეთრი ქვები აეროპორტის გზაზე*
- საკრებულოს წინაშე მერიის ანგარიშვალდებულება

სატრანსპორტო რეფორმა

- მეტროს მოდერნიზაცია და განვითარება დიდი დიღმის, ლილოს, აეროპორტის მიმართულებით
- თბილისისა და რუსთავის დაკავშირება მეტროს ხაზით
- ახალი გზებისა და ესტაკადების მშენებლობა – მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

- მაღალი გამავლობის ავტომობილების გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესება

- საჯარიმო ავტოსადგომებზე უკანონოდ გადაყვანის შემთხვევებზე გასაჩივრების მექანიზმის გამარტივება
- ე.წ. ბასლაინებში საშვიანი ავტომობილების გადაადგილების შეზღუდვა

მოქალაქეთა უსაფრთხოება #1 პრიორიტეტად

- ვაკის პარკის ტრაგედია
- ავარიული ლიფტები, ე.წ. მკვლელი ლიფტები

მოთხოვნა! ამხანაგობებთან ერთად უმოკლეს ვადებში ჩატარდეს მონიტორინგი, სასწრაფოდ დადგინდეს კრიტიკულად ამორტიზებული ლიფტები და გამოინახოს სახსრები მათი მოდერნიზაციისთვის!

სოციალური პრობლემები

- მხარდაჭერა აქონდროპლაზიით დაავადებულ ბავშვებს

მოთხოვნა! თბილისის მერიამ სასწრაფოდ გადახედოს ნაგვის ურნების 10 მილიონიანი ტენდერის პირობებს და გაანახევროს გამოყოფილი თანხა. დაზოგილი თანხით კი გადავარჩინოთ ჩვენი ბავშვების სიცოცხლე და გავუფრთხილდეთ მათ ჯანმრთელობას!

ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის „ თავმჯდომარე ზაზა თავაძე

ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის „ თავმჯდომარის მოადგილე სალომე კობალაძე

ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის „ წევრი გიორგი შარაშიძე